საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №767

თბილისი „11“ 06 2019წ.

2019 წლის საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის ტესტირებაში დასაგროვებელი აუცილებელი ქულების ოდენობის დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 20 მაისის N595998 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დადგინდეს 2019 წლის საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის ტესტირებაში დასაგროვებელი აუცილებელი ქულების ოდენობა შემდეგი სახით:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის (VII-XII კლასები), გეოგრაფიის (VII-XII კლასები), ისტორიის (VII-XII კლასები), ბიოლოგიის (VII-XII კლასები), ქიმიის (VII-XII კლასები), ფიზიკის (VII-XII კლასები), მათემატიკის (VII-XII კლასები), უცხოური ენების (I-XII კლასები), სამოქალაქო განათლების (VII-XII კლასები), ქართული, როგორც მეორე ენის (I-XII), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (I-IX კლასები), მუსიკის (I-IX კლასები), სპორტის (I-XII კლასები), ბუნებისმეტყველების (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები), ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები), მათემატიკის (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები), ქართული ენის და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV კლასები) საგნის გამოცდაში და ასევე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში - აპლიკანტმა, იმისათვის რომ საგნის გამოცდები ჩაეთვალოს წარმატებით დაძლეულად, უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, კერძოდ:

ა.ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (VII-XII კლასები) 43 ქულა და მეტი,
ა.ბ) მათემატიკაში (VII-XII კლასები) 32 ქულა და მეტი,
ა.გ) გეოგრაფიაში (VII-XII კლასები) 36 ქულა და მეტი,
ა.დ) ბიოლოგიაში (VII-XII კლასები) 38 ქულა და მეტი,
ა.ე) ქიმიაში (VII-XII კლასები) 43 ქულა და მეტი,
ა.ვ) ფიზიკაში (VII-XII კლასები) 43 ქულა და მეტი,
ა.ზ) ისტორიაში (VII-XII კლასები) 37 ქულა და მეტი,
ა.თ) სამოქალაქო განათლებაში (VII-XII კლასები) 37 ქულა და მეტი,
ა.ი) უცხოურ ენაში (I-XII კლასები) 55 ქულა და მეტი,
ა.კ) ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები) 58 ქულა და მეტი,
ა.ლ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (I-IX კლასები) 37 ქულა და მეტი,
ა.მ) მუსიკაში (I-IX კლასები) 43 ქულა და მეტი,
ა.ნ) სპორტში (I-XII კლასები) 43 ქულა და მეტი,
ა.ო) ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები) 49 ქულა და მეტი,
ა.პ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები) 40 ქულა და მეტი,
ა.ჟ) ბუნებისმეტყველებაში (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები) 40 ქულა და მეტი,
ა.რ) მათემატიკაში (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები) 40 ქულა და მეტი;
ა.ს) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში 43 ქულა და მეტი.

ბ) ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველების (I-IV კლასები), ბუნებისმეტყველების (I-VI კლასები), ქართული ენისა და ლიტერატურის (I-VI კლასები), მათემატიკის (I-VI კლასები), უცხოური ენებისა (I-XII კლასები) და ქართულის, როგორც მეორე ენის (I-XII კლასები) ტესტები რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, რომლებშიც აპლიკანტმა იმისათვის, რომ გამოცდა ჩაეთვალოს წარმატებით დაძლეულად, ზემოაღნიშნულ ბარიერთან (60%-ზე მეტი) ერთად უნდა გადალახოს ტესტის თითოეული ნაწილის ბარიერი ქვემოთ დადგენილი პრინციპის შესაბამისად, კერძოდ:

ბ.ა) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთათვის (I-IV კლასები) ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში - აკადემიური უნარების ნაწილში - მასწავლებელმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა - 18) 40% -ზე მეტი, ანუ 8 ქულა ან მეტი.

ბ.ბ) ბუნებისმეტყველების (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები), ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები), მათემატიკის (დაწყებითი საფეხური I-VI კლასები) ტესტები შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში - აკადემიური უნარების ნაწილში - აპლიკანტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა - 18) 40% -ზე მეტი (ანუ 8 ქულა ან მეტი).

ბ.გ) უცხოური ენების გამოცდა იყოფა ოთხ ნაწილად, აქედან 4 ნაწილში – ლაპარაკის, წერის, კითხვისა და მოსმენის ნაწილებში მასწავლებელმა უნდა გადალახოს მაქსიმალური ქულის მესამედი ან/და მეტი. კერძოდ, ლაპარაკის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 – გამსვლელი 6 ქულა და მეტი, წერის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 22 – გამსვლელი 8 ქულა და მეტი, მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 გამსვლელი 6 ქულა და მეტი, ხოლო კითხვის ნაწილში მაქსიმალური ქულა განისაზღვრა 36 ქულით, ხოლო გამსვლელი ქულაა 12 და მეტი.

ბ.დ) ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები), იყოფა ხუთ ნაწილად. ტესტის თითოეული ნაწილისათვის განსაზღვრულია შიდა ზღვარი მაქსიმალური ქულის 40% -ზე მეტი, კერძოდ, მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 11 - გამსვლელი 5 ქულა და მეტი, კითხვის ნაწილში მაქსიმალური ქულა განისაზღვრა 28 ქულით, ხოლო გამსვლელი 12 ქულა და მეტი, წერის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 20 - გამსვლელი 9 ქულა და მეტი, პროფესიული ცოდნის ნაწილში

მაქსიმალური ქულაა 25 - გამსვლელი 11 ქულა და მეტი, ხოლო ლაპარაკის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 11, აქედან გამსვლელია 5 ქულა და მეტი.

ზ.ე) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან - თეორიული ცოდნის (წერილობითი) და პრაქტიკული უნარ-ჩვევების (პრაქტიკული) ნაწილისგან, ტესტის თითოეულ ნაწილში აპლიკანტმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის 40%, ანუ 14 ქულა და მეტი.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი